



# შირაკი

გამოცემის მდ-80 წელი

SHIRAKI

გამოქვეყნის 1937 წლიდან  
დაფუძნდებული სამეცნიერო გაზის განათლების განხარი

№2 (9.811)

27 იანვარი-3 თებერვალი 2018 წელი


ფასი: 50 თათრი

უკავებელი გამოცემა

## ზემო მაჩვანეობი რეაბილიტირებული პაგა-პალი გაიხსნა



ა 3 . 3



ვ 3 . 5

ხორნის უჯის  
საჯარო  
სკოლას  
ახალი  
დირექტორი  
ჰყავს...



ა 3 . 7

რა პრობლემებს  
იცვევს  
პროტეოლიტიკური დოკუმენტის  
და რა ასაკში  
ვლინდება იგი?

**დეკრიმინალიზაციას—კი,  
პროკაგადეას—არა!**



ა 3 . 3 - 6

პრემიერი - ჩვენს  
ამბიციას, 2030  
წლის ზამთრის  
ოლიმპიური თამაშები  
საქართველოში  
ჩატარდეს,  
საერთაშორისო  
ოლიმპიური  
კომიტეტი  
პოზიტიურად შეხვდა  
ვ 3 . 2



ა 3 . 4

**„ადამიანი აქ  
ფასდება თავისი  
ფასეულობებით“**



ა 3 . 2

**სიცილი სანდრის  
შეღაბად 78 ლეის  
მასაკაცი დაიღუპა**

**გამოიცერეთ  
გაზათი „შირაკი“**

2018 წლისთვის გაზეთ „შირაკის“ პერიოდულობა  
კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ლირებულება მთელი წლით 15 ლარი ელირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიცერეთ  
გაზათი „შირაკი“ -  
შეიტყოთ ყველაფერი  
დაფუძნდებული სამეცნიერო  
მიმღებარი მოვლენების  
ესახებ.

## პრემიერი - ჩვენს აშშიციას, 2030 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები საქართველოში ჩატარდეს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პოზიტიურად შეხვდა

ის ფაქტი, რომ ჩვენ 12 წლის შემდეგ ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების პრეტენზიას ვაცაშადებთ, ძალიან დიდ ყურადღებას გამოინვეს საქართველოს მიმრთ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განცხადა.

პრემიერმა ლოზანაში ვიზიტზე ისაუბრა, სადაც ის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს შეხვდა.

„საქართველო სერიოზულად ინწყებს მომზადებას 2030 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის. ამ შეხვედრაზე ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ მთელი ეს პერიოდი. ძალიან დიდი შედეგია ის, რომ უკვე მორტის დასახურის ჩამოდის სპეციალური დელეგაცია, რომელიც შეისწავლის დღევანდელ არსებულ მდგრადობას, მოახდენს იდენტიფიცირებას იმ მიმართულებების, თუნდაც ჩავარდების, რომლებიც ჩვენ გვაქვს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენ ვაცაშადებთ პრეტენზიას, რომ 12 წლის შემდეგ დღევანდელი დღიდან საქართველოში შეიძლება ჩატარდეს ზამთრის ოლიმპიური თამაშები, ძალიან დიდ ყურადღებას გამოინვეს საქართველოს მიმართ. ჩვენ გვექნება განერილი გეგმა ან მხოლოდ ინფრასტრუქტურას. მიმართ არ გვექნება განაცხადა და მართველ გუნდს ვეტოს დაძლევის თვითმიზანი არ გააჩნია.

“მოგვესენებათ, პრეზიდენტმა კანონპროექტს დაადგი ვეტო. ჩვენთვის თვითმიზანი არ არის ვეტოს გადასახვა. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა, რომ მივიღოთ დახვენილი კანონი, რომელიც მოაწესირებებს საქართველოში მაუწყებლობის საკითხებს. მათ შორის კონკრეტულად საზოგადოებრივი მაუწყებლის საკითხებს. მინდა მოკლედ შევეხმ დისკუსიას, რომელიც გაიმართა საქართველოს პარლამენტში. იყო აზრთა სხვადასხვაობა, მათ შორის დაგვიბრივი ეკონომიკური კომიტეტი გამოვიდა მთლიანობაში ამ კანონპროექტის წინააღმდეგ. არგუმენტების გაცვლის საფუძველზე მიიღო უმრავლესობამ თავისი გადაწყვეტილება. მე ვიყავი ერთ-ერთი დეპუტატი, რომელმაც მხარი დავუშირე კანონპროექტს, რომელიც არის წარმოდგენილი. უნდა ითვას, რომ არის კანონპროექტები, რომელთა ამა თუ იმ სახით მიღება, რა თქმა უნდა, პირადაპირ ასახება ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის პოზიციებზე, შეიძლება მიიღო გარკვეული კანონი, რომელიც დადგენითად აისახება მთავარი აღმართების პარტიის პოზიციებზე და უარყოფითად იპოზიციაზე, ან პირის ქავე არის ის შემთხვევა, რომელიც აღვენერებული ეფუძნილი ემარტინი ამ კანონს არ აქვს. კანონის მიღებით ან არმიღებით მთავარი პარტიის თავისი პოზიციებს ვერც გაიუმჯობესებს და ვერც დაისუტებს, შესაბამისად, პოლიტიკური კონტესტის არის დაცლილი ეს დისკუსია. ეს კანონი რომ მივიღოთ და ვეტო არ გადავლახოთ, ამით მთავარი გვეტება და არც არაფერი გვაკლდება, ისევე როგორც საპირისპირო შემთხვევაში. პოლიტიკური ფონი ამ კანონპროექტს არ აქვს, თუმცა პოლიტიკური გახდა ეს დისკუსია. მთავარი არის ის, რომ მთავარი პარტიის პოლიტიკური ინტერესი არ აქვს”, - განაცხადა ირაკლი კობახიძე.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს განაცხადს და დადებით ამბიციას ძალიან პოზიციურად შეხვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და აბსოლუტურად ყველანაირი დახმარება აღვითქვა. ჩვენ მოვემზადებით ამ ვიზიტისთვის, რომელიც მარტში შედგება და დავიწყებთ კონკრეტული გეგმის განხორციელებას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთან ხელი მოეწერა სათავადასავლი სკოლის ნანილი დახმარების ხელშეკრულებას. მთის მიმართულებით მოხდება გიდენის მომზადება... ჩვენ შეგვიძლია, სამთო რეგიონები ჩავრთოთ ამ პროცესში. ეს არ იქნება მხოლოდ შეძლებული ადამიანებისთვის და ტურისტებისთვის განკუთვნილი მიმართულება, არამედ აქ შეიძლება ჩვენი მოსახლეობის ძალიან დიდი ნანილი ჩაერთოს და მიიღოს კონკრეტული შედეგები. გიდენად გადმიზადება იქნება ასალი შესაძლებლობა მთაში მცხოვრებლებისთვის, რომ დამატებითი შემოსავალი მიიღონ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი იქნება ძალიან სასარგებლო ჩვენი ქვეყნის მაცხოვერებლებისთვის, განსაკუთრებით მთიან რეგიონში და არა მხოლოდ”, - დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

## მაია გორგოვიჩი - სერბეთი მხარის უჭერს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიულ მთლიანობას

სერბეთის პარლამენტის თავმჯდომარე მაია გორგოვიჩმა საქართველოს კოსოვოს არალიარების გამო მაღლობა გადაუხადა. მან თავის მხრივ დააფიციროს სერბეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

“სერბეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს საერთაშორისო სამართალს და ქვეყნების საერთაშორისო დალიარებულ ტერიტორიულ მხლილობას ვუხდით საქართველოს, რომ ის მხარს არ უჭერს კოსოვოს განევრიანებას ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორიცაა, მაგალითად „იუნესკო“, - განაცხადა მაია გორგოვიჩმა.

კონკრეტური საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივი ბრიფინგი გაიმართა.

## ირაკლი კობახიძე - „მაუწყებლობის შესახებ“ კანონზე ვეტოს დაძლევით მმართველ პარტიას არც არაფერი გვემატება და არც არაფერი გვაკლდება

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონზე ვეტოს დაძლევით მმართველ პარტიას არც არაფერი გვემატება და არც არაფერი გვაკლდება, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ მედიის ანალიზის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

კობახიძის განცხადებით, აღნიშნული კანონ-პროექტი პოლიტიკური კონტესტის განვითარების დაძლევითი განვითარების მიმართ არ გვითხოვთ, ამის შესახებ პარლამენტის თავითმიზანი არ გააჩნია.

“მოგვესენებათ, პრეზიდენტმა კანონპროექტს დაადგი ვეტო. ჩვენთვის თვითმიზანი არ არის ვეტოს გადასახვა. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა, რომ მივიღოთ დახვენილი კანონი, რომელიც მოაწესირებებს საქართველოში მაუწყებლობის საკითხებს. მათ შორის კონკრეტულად საზოგადოებრივი მაუწყებლის საკითხებს. მინდა მოკლედ შევეხმ დისკუსიას, რომელიც გაიმართა საქართველოს პარლამენტში. იყო აზრთა სხვადასხვაობა, მათ შორის დაგვიბრივი ეკონომიკური კონტესტის წინააღმდეგ. არგუმენტების გაცვლის საფუძველზე მიიღო უმრავლესობამ თავისი გადაწყვეტილება. მე ვიყავი ერთ-ერთი დეპუტატი, რომელმაც მხარი დავუშირე კანონპროექტს, რომელიც არის წარმოდგენილი. უნდა ითვას, რომ არის კანონპროექტები, რომელთა ამა თუ იმ სახით მიღება, რა თქმა უნდა, პირადაპირ ასახება ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის პოზიციებზე, შეიძლება მიიღო გარკვეული კანონი, რომელიც დადგენითად აისახება მთავარი აღმართების პარტიის პოზიციებზე და უარყოფითად იპოზიციაზე, ან პირის ქავე არის ის შემთხვევა, რომელიც აღვენერებული ეფუძნილი ემარტინი ამ კანონს არ აქვს. კანონის მიღებით ან არმიღებით მთავარი პარტიის თავისი პოზიციებს ვერც გაიუმჯობესებს და ვერც დაისუტებს, შესაბამისად, პოლიტიკური კონტესტის არის დაცლილი ეს დისკუსია. ეს კანონი რომ მივიღოთ და ვეტო არ გადავლახოთ, ამით მთავარი გვეტება და არც არაფერი გვაკლდება, ისევე როგორც საპირისპირო შემთხვევაში. პოლიტიკური ფონი ამ კანონპროექტს არ აქვს, თუმცა პოლიტიკური გახდა ეს დისკუსია. მთავარი არის ის, რომ მთავარი პარტიის პოლიტიკური ინტერესი არ აქვს”, - განაცხადა ირაკლი კობახიძე.

## გრიგორი კარასინი - ჩვენ აფხაზეთის და სამხრეთ ისეთის დამოუკიდებლობის უკანას არ ვაპირებთ, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა რუსულ გამოცემა „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე განმარტებით, „მიღებული გადაწყვეტილება სამხრეთის დამოუკიდებლობის უკანას წალება უნდა გახდეს რესპუბლიკური ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველო მხრიდან გამოხატულა ურყავი მხარდაჭერა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. მაღლობას ვუხდით საქართველოს კოსოვოსა და მეტოხის არალიარებისათვის. ჩვენ მადლობას ვუხდით საქართველოს, რომ ის მხარს არ უჭერს კოსოვოს განევრიანებას ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორიცაა, მაგალითად „იუნესკო“, - განაცხადა მაია გორგოვიჩმა.

„დაპლომატიური ურთიერთობები საქართველომ განყიტა. თბილისის აზრით, ამ ურთიერთობების აღდგენის პირობის პირობის მიმართ უკვე განევრიანე

# ზემო მაჩვანეობის რეაგილიტიკული პარა-პალი გაცესნა



სოფელ ზემო მაჩხანის ახლა-  
დრეაბილიტირებული საბავშვო ბა-  
გა-ბაღი 22 იანვარს გაიხსნა. სააღ-  
მზრდელო დაწესებულების გახსნას  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის  
მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, სიღნა-  
ღი-დედოფლისწყაროს მაურორიტარი  
დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი და  
საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ  
პაპიაშვილი დაქანონენ. მუნიციპალი-  
ტეტის ოფიციალურმა პირებმა სიმ-  
ბოლური ლენტი საზეიმო ვითარებაში  
გაჭრეს და პედაგოგებსა და აღსაზრ-  
დელებს სააღმზრდელო პროცესის გა-  
ნახლება მიულოცეს.



# საკრებულოს სამოგაზ

25 იანვარს დედოფლისნუაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თაგმზღვომარე ნუგზარ ჰაპაშვილი უძღვებოდა. სხდომას მერის მოადგილე სოლომონ ლორაშვილი და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. საკრებულოს წევრებმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს.

სხვა დამტკიცა ბიუჯეტის ცვლილების პროექტი, რომლის საფუძველზეც, რეგიონებში გამსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დევლოფლის წყაროს მუნიციპალი-

ტეტრის ინფორასტრუქტურული პროექტები  
ბისთვის გამოყოფილი 1 მლ. 469 231  
ლარი აისახა დედოფლისწყაროს მუნი-  
ციპალიტეტის 2018

ნლის ბიუჯეტში .  
საკრებულომ  
კენჭი უყარა და  
დაამტკიცა დე-  
ლიფლის წყაროს  
მუნიციპალიტე-  
ტის მერიის, მერიის  
სტრუქტურული  
ერთეულებისა და  
საკრებულოს კომი-  
სიების დებულებე-  
ბში საქართველოს  
კანონმდებლობას-  
თან შესაბამისობა-

ში მოყვანის მიზნით შესატანი ცვლილებების პროექტი.

დასასრულს, საკრებულომ ცნობად



მიიღო ფრაქციების თავმჯდომარევ-  
ბის მოადგილეების არჩევა, რომლებიც  
სხდომაზე შესაბამისი ფრაქციების თა-  
ვმჯდომარებმა წარადგინებული იყო.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“: თავმჯდომარე – დავით ალულიშვილი, მოადგილები-გიორგი ჭიჭარაული, ნუზარ ყოჩიაშვილი.

„ქართული ოცნება – მრეწველები“:  
თავმჯდომარე მამუკა სეფიაშვილი,  
მოადგილე არსენ ბალაშვილი.  
„ქართული ოცნება – კონსერვატი-  
რები“: თავმჯდომარე ალექსანდრე პა-  
პაჩაშვილი, მოადგილე – ალექსანდრე  
ბერიშვილი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:  
თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი, მოად-  
გილე-ლევან იაკობიშვილი.

# **დეკრიმინალიზაციას—კი, პროვაგაციას—არა!**

მსუბუქი ნარკოტიკის მიმართ სასჯელის შემცირების მოთხოვნით, ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ხშირად იმართება სხვადასხვა მასშტაბის საპროტესტო აქციები. გზავნილი ერთია - ხელისუფლებამ მათი ხმა ისმინოს და ე.ნ. „დრაკონული“ კანონმდებლობა შეცვალოს, ნარკოპოლიტიკა შედარებით ლოიალური გახადოს. ერთ საკითხში ყველა თანხმდება, რომ ამჟამად მოქმედი ნარკოპოლიტიკა და სასჯელი ზედმეტად მკაცრია და აუცილებელია, შესაბამისამა უწყებებმა დროულად იმოქმედონ. დანარჩენ შემთხვევებში საზოგადოების აზრი ისევ ირადაა გაყოფილი. ნანილი ფიქრობს, რომ პროტესტი გაცილებით მეტმა ადამიანმა უნდა გამოხატოს, მეორე ნანილი კი შეკორეცვას, რომ ეს აქციები და ხმამაღლალი პროტესტი ნარკოტიკის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, რაც მოზარდებში ისედაც არსებულ ინტერესს კიდევ უფრო გაზრდის.

რაკი ამ საკითხს ახალგაზრდები განსხვავებულად უყურებენ, გაზეთი „შირაქი“ პირველ რიგში იმ ახალგაზრდების მოსაზრებით დაინტერესდა, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევენ და პრიორიტეტს ვარჯიშს ანიჭებენ. ამ მიზნით დედოფლის სწავლოელი სპორტსმენები გამოკითხეთ.

კველის შემცირების მოთხოვნით, იმართება სხვადასხვა მასშტაბის თოია - ხელისუფლებამ მათი ხმა ისმი- ლობდა შეცვალოს, ნარკოპოლიტიკა თ საკითხში ყველა თანხმდება, რომ ასაჯელი ზედმეტად მკაცრია და მა დროულად იმოქმედონ. დანარ- ჩი ისევ ორადაა გაყოფილი. ნაწილი თ მეტა ადამიანმა უნდა გამოხატოს, ქციები და ხმამაღლალი პროცესტი აბს ხელს, რაც მოზარდებში ისედაც არდის.

შპკ ხმონაული (მოჭიდავი, 16 წლის) „ჩემი აზრით, არ უნდა იყოს ლეგალი ზეპული, არ უნდა შეეძლოს ხალხს თავისუფლად ყიდვა და გამოყენება! ვისაც აღმოჩენენ „პლანს“, პირველ ჯერზე გააფრთხოონ, თუ ისევ განმეორდა, შემდეგ მიიღონ ზომები. უნდა დაიჭირონ ის, ვინც მარიხუანას ყიდის, ან არასრულწლოვანები ასაღებს! ვინც დამოკიდებული ნარკოტიკზე და ველარ ეშვება, დასვეგი ნაცვლად უნდა უმკურნალონ. ჯანსაღ ცხოვრებას არაფერი სჯობია. რა სიკეთ მოვაძეს მოწინას არაერთ კანკრიცია-



ზედმეტად ცნობისმოყვარები არიან და  
რისკი დიდია. უპრალო ინტერესის გამო  
შესაძლებელია, ბევრმა დაიზიანოს ჯან-  
მრთელობა და საბოლოოდ მასზე დამტ-  
კიდებული გახდეს. როგორც ვიცი, ე.წ.  
„დაბოლილები“ სხვადასხვანაირად რეაგი-  
რებენ. ზოგიერთ მათგანში აგრესია იმა-  
ტებს, ზოგზე სხვა გამოვლინება არცას“.

ლობას და იმცირებენ სიცოცხლეს. ვინც  
ეწევა, ისანი უკვე დააგადებულები არიან  
ვფიქრობ, ვინც ერთხელ გასინჯავს, კი  
დევ გაიმეორებს, ის „კაიფის“ გარეშე ვერ  
იცხოვრებს. ფილტვებსაც ინადგურებე  
და გონებასაც.

၏ အကြောင်းပြုချက်များ

**ლლის:** „ის, რომ პლანის მოწევის გამოციხეთა უნდა გადაჭარბებულად მეტვე-ნება. ვისაც უნდა, არალეგალურადაც ახერხებენ მოწევას, მაგრამ, ვფიქრობ, ჯერ-ჯერობით, ქვეყანა არ არის მზად ამ კანონის მისაღებად, ამას რელიგია და ტრადიციებიც ემატება და არ გამოიწვევს კარგ შედეგს, თუმცა, ალბათ სამომავლოდ, ეგ დროც მოვა. ლეგალიზების შემთხვევაში არა მგონია, რომ მომხმარებლის რიცხვი გაიზარდოს, უბრალოდ, მეტი თავისუფლება ექნებათ. ეს კი არ იქნება კარგი ტონი საზოგადოებისთვის. რა თქმა უნდა, მარისუანა მავნეა ჯანმრთელობისთვის, ტვინის უჯრედებს კლავს, რაც შემძეგ ადამიანს ჯანსაღ აზროვნებაში უშლის ხელს. ეს მავნე ჩვევაა, რომელიც ადამიანს განვითარებაში უშლის ხელს, მე ცველა მომხმარებელს ვურჩევდი, ჯანსაღი წესით ცხოვრებას მიჰყოს ხელი და ეს უკეთესი გადაწყვეტილებაა. როგორც ახლა სჯის სახელმწიფო, ეს, ჩემი აზრით, უარყოფით შედეგს უფრო მოიტანს, იმიტომ, რომ ზედმეტად დიდი ჯარიმებია და არც ციხეა პრობლემის გადასაჭრელად კარგი გამოსავალი“.

საკითხი იმდენად მტკიცნეული აღმოჩნდა, რომ საკუთარი მოსაზრება რიგითმა დედოფლის წყვაროელებმაც დააფიქსირეს. ნაწილი ლეგალიზაციის მომხრეა, ნაწილი-ამაში სათროებს ხედავს.

თათველი როგიტაშვილი: „ადმინის-ტრაციული სახდელი უნდა დარჩეს, რა თქმა უნდა, ჯარიმის სახით, მაგრამ მე არ მინდა, რომ როდესმე თუ ჩემი შეილი ამ საზიზღლობას გასინჯავს, ციხეში აღმოჩნდეს ამის გამო და იქიდან მკვლელი და მანიაკი გამოვიდეს. სისხლის სამართლის სასჯელის გაუქმება მარიხუანას ლეგალიზებას არ ნიშნავს, ამის სწორი განმარტება უნდა მოხდეს და მოზარდებამდე მიტანა,

(გაგრძელება გვ.6)

განვაგრძობთ რეპრიკას „ქართველები საზღვარგარეთ“ და ნარმოგიდგენთ გერმანიაში მცხოვრებ 27 წლის ბლიუ ბასილევილს. იგი გერმანიაში უკვე მეტე წელია ცხოვრიბს, სადაც ქართულ ლევინოსა და ხელოვნებას უწევს პოულარიზაციას. ილიას მიზნები და მის მიერ განვლილი გზა არანაკლებ საინტერესოა სხვა ემიგრანტებისგან და არანაკლები მაგალითის მომცემია ქართველებისთვის, იმისთვის, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა და როგორ დავრჩით ქართველები ქართველებად.

-ილია, მოგვიყევი შენს შესახებ...

-ამჟემად ვცხოვრობ მე ბერლინში და  
მაქსის საკუთარი გალერეა, ღვინის მაღაზია  
და ონლაინ-შოპი. სასიამო-  
ვნოა, რომ რაიონის პრესაში  
მოხდება ამ ინფორმაციის  
გამუჯება, რადგან მსურს  
რაიონის ხელოვანებმა გერმა-  
ნიაში ჩემს საქმიანობაზე გაი-  
გონ და შესაძლოა, მოხდეს  
თანამშრომლობა. მე ვეძებ  
ყოველთვის სანტერესო და  
ნიჭიერ მხატვრებს, ხელოვა-  
ნებს, ვის ნამუშევრებსაც გა-  
მოვფენ ჩემს გალერეაში.

-როგორ დაიწყო თავიდან  
ეს ყველაფერი?

- სკოლის დამთავრების  
შემდეგ წავიდი გერმანია  
ში Au-Pair პროგრამით 2008  
წელში, ენისა და სხვა კულ-  
ტურის სწავლის მიზნით  
ერთი წლის მერე გავიარები  
გერმანული კურსები და შემ  
დეგ ვისწავლე საერთაშორის  
და მარკეტინგი ერთ-ერთ ყვე-  
სასწავლებელში, სადაც 95%  
მოვიდე, წარმატებული სწავ-  
ლებისაბობი პროფესიით. 2017  
ვიტე მუშაობა და დაგარსე ს-  
ლანდშარპი ჩეოლინგი, რომელ  
ქართულ პროდუქტს ვყიდი  
ლვინოები, ხელნაკეთი სამკა-  
ნირები და ასე შემდეგ. 2018  
ვარს გავხსენი საკუთარი გალ-  
Galerie" გამოფენით "Wome-  
მელშიც წარმოდგენილი არ-  
მატერების ნიხო ლომსაძი  
ჩიქოვანის ხელნაკეთი მინან-  
ლები. გალერეაში არის ასევე  
ბული ქართული ლენინის მაღ-  
აქსესუარები. გალერეას ეპუ-  
სამზარეულო და ერთი გამოყ-  
ივნებისათვის, რომელშიც  
ვთავაზობ უცხოელ დაინტერ-  
მიანებს ქართული სამზარეუ-  
ლო გალერეაში დაგეგმილია ე-  
უცხოელი მხატვრების, დიზა-  
ნელთვიური გამოფენები. ჩერ-



յարտցելեքիս մօմարտ ցանցպանունն է. Շենք  
սամթոթլողան մոմորդիքիտ վեռցրեց ար-  
արու ուղղու, արու մրմինքիքի, րուգեսաւ սա-  
յարտցելու մընաւրցիս, տայպաւ, յը մեռլուգ-  
նամիցր մոմինքուա. նամզգուած ար արու  
ուղղու, վեռցրուգց պայտ կըցյանձու, մուս-  
տիւմբեց, րուգեսաւ անալու համաշաւլու խար-  
սկուցեցնուուն ճառու մոնցըց որ ագցուած-  
մընարծա, պայուղա ճառցեց, րուցա մեռլուգ-  
մաշարոն ճա յարտուցուուն  
մոյշմիս, րատա պայտ մտյուլո  
տայու մանճուլիչ մպոտնուց.  
տայպաւ, զոյլիշրու, րոմ յը ար  
արու մտլաւ պայտ, րագան  
ագամանս շեյշկուա նշանքաւ ամ  
պայտագորու շեմցց ցայցուն,  
տա րուցուուն վեռցրեց, մերո-  
մա ճա ցայցուն միսու ուասու.

- რა ლონებეა და ცული მანდა  
ადამიანის უფლებები?

ნონით, ასევე საზოგადოების

რომ იქნი ადამიადოლიც თაღუ ასე  
თი ყოფილიყუს.  
-რამდენად ადვილია გერმანია  
ში ბიძნესის კეთება?  
-საქართველოს აკლია ძალიან  
ბევრი რამ, რომ გახდეს გერმანია  
სავით ძლიერ სახელმწიფო. ჩემი  
ზრდა ძროვას უკავშირდება.

აზრით, ძირითადი პრობლემა  
არის ქართული საზოგადოება და  
ქართული კულტურა.

ხელისუფლება. როცა ქართველი ერთ ისახლის ერთმანეთის პატიო ვისცემას, იქნება ნებისმიერ ადამიანის რესპექტი, ალარ ჩაერცემის სხვის ცხოვრებაში და ის დაცული დება მხოლოდ თავისი ცხოვრების ბით და ასევე დაიცავს საქართველოს კანონებს, ეს ყველაფერი იქნება საწნევდარი უკვე იმს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, წინ წაიდეს. ასევე დიდობითობა უნდა ითამაშოს სახელმწიფო როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფო ფორმაც. პირველ რიგში, მათი ინტერესი უნდა იყოს ქართველი ერი და საქართველო. ეს უნდა დააყენონ პირველ ადგილას და იფიქრონ იმაზე, რომ ყველანაირი პირობება შეუექნან ადამიანს, რათა თავი იგრძნოს დაცულ, დამიუკიდებელ აღამიანად. ალარ ეშინოდეს საკუთარი აზრის ლიად დაფიქსირების. ყველა ქვეყანას ჰყავს ოპოზიციური და მართველი გუნდი, მაგრამ იცით, რა



არის განსხვავებება გერმანულსა და ქართულ  
პოლიტიკურ გუნდებს შორის? - ის, რომ  
აქაური ყველა პოლიტიკური გუნდი იქრძ-  
ვის თავისი ხალხის და სახელმწიფოს წინს-  
ვლისთვის, განვითარებისთვის, კეთილ-  
დღეობისთვის და ქართული პოლიტიკური  
გუნდები კი, - არა. ხანდახან ვფიქრობ და  
გული მწყდება ხოლმე იმაზე, რომ ჩვენი  
ერი არის ერთ-ერთი უძველესი ერი. გერ-  
მანელები კი, უახლესი და რა დავაშავეთ  
ჩვენ, რომ ამდენი დროს განმავლობაში  
ვერასდროს გავხდით ერთ-ერთი ძლიერი  
სახელმწიფო, იმის ფონზე, როგორი ისტო-  
რიაც გერმანიას აქვს, მან შეძლო მოკლე  
დროს, გამხდარიყო მსოფლიოში ერთ-ერ-  
თი წამყვანი ქვეყანა ნებისმიერ სფეროში.  
გერმანული ბიუჯეტისთვის თამაშობს ბიზ-  
ნესი ერთ-ერთ მთავარი როლს და შესაბამი-  
სად, არის იოლო პირობები, გახდე აქ ბიზ-  
ნესი უმარი მისამართი სახელმწიფოს

ხელშეხი, თუმცა, ამისთვის საჭიროა კარგი ცოდნა, გათვლა, ორგანიზება, ყოჩალობა და, რა თქმა უნდა, ფინანსები. თუმცა, ამ ყველაფრის მოუხედავად, არსებობს ასევე პრობლემები და დაბრკოლებები, რომელ-საც ადამიანი უნდა გაუმკლავდეს და გა-

- ამჟამად რა ხდება თქვენს ირგვლივ, რა საქმით ხართ ამ დღეებში დაკავებული?
- ახლა მიმდინარეობს ბერლინში მნვანე კორეული დღე მეც ვიღებ მონაწილეობას.
- რას ამპინძებ ქართველებზე, ქართულ ლინიზე, მუსიკაზე, ჩვენს ქვეყანას თუ იცნინდებ თავისი კულტურით, ნარსულით, ის-

-ძალიან მოსწონთ ჩვენი ღვინო. წელს  
მესამედ ვიღებ მონანილობას ამ ფესტი-  
ვალზე. ბოლო 2 წლის განმავლობაში ყვე-  
ლასთვის მიწევდა ასენა, სად იყო და  
რა იყო საქართველო. და აა, წელს ვარ ძა-  
ლიან გახარებული და გაკეირვებული, რად-  
გან თითქმის ყოველმა მეორემ იცის, თუ  
სად არის საქართველო, თუ რა გემრიულია  
ქართული ღვინო და ამ ყველაფრის მიმართ  
არიან პოზიტიურად განწყობილი. ძალიან  
ბევრი მეუბნება, რომ ისინი უკვე იყვნენ  
საქართველოში და ყველაფერი ძალიან  
მოწონათ. ბევრი ადამიანის  
დიდი სურვილია, რომ უახლოეს  
სანში ესტუმრონ ჩვენს ქვეყნას,  
რადგან მათ ბევრი კარგი რამ  
სმენიათ საქართველოზე.

**-მაღლობა, ილა, სანიტერიესო  
საუბრისთვის, გულბრიჯელობის-  
თვის, ნარძაცებები მინდა გისურ-  
ვო. იმედი ვიქონიოთ, რომ მაღლ  
ჩვენი ქვეყანა დაძლევს ყველა  
კრიზისს და ჩვენ აქ მყოფნიც და  
საზღვრარეთ მყოფნიც ვიაძაყ-  
ბო ჩვენი ქვეყნით.**

ლალი გეხრიშვილი

# ემიგრანტის შვილის წერილი

თუ თქვენ ამას კითხულობთ, ესე იგი ხმამაღლა მითქვამს, ოლონდ არა გაბრა-ზეპულს, ან ნაწყენს, არა გაბოროტებულს, უბრალიდ უკვე ემოციებ გადავილოს ანუ შევიდს. ახლა, არ გამიკვირდება უთო რომ ჩავკითოდ და მისგან ცი უმიგრანტებ-ზე მოვისმინონ რამე. მერე რა? კველას შეუძლია აზრი თავისუფლად გამოხატოს, ჩვენი კონსტიტუციური უფლებას. მე ამ თემაზე არასაროს მისაუბრია, არც და-მიწოდო, თუმცა, ემიგრანტი- ჩემთვის ნაცონბრი, გულთან ახლოს მყოფი, ძალიან სევდიანი სიტყვაა. სულ პატარები იყვენები ჩემი მეზობლები, როცა ისინი დედამდი- დატოვა და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წავიდა. მაშინ მეხუთე კლასში ვიყავით და ეს იყო პირველი ისტორია, მას შემ- დევ გამარავლდა და გამარავლდა ასეთი ის- ტორები. მილიონ სამეზობლოს, სამეგრე- ბოს, სანათესაოს, ქალაქება თუ სოფელს, მთელ ქვეყანას. ძირითადად, ქალები მი- დიოდნენ, ტოვებდნენ: შეიღებს, სახლებს, სამსახურებს, დიპლომებს, მეგობრებს, მოხუც მმობლებს, თავიანთ კაცებს, აცი- ვებდნენ სარეცელს, აცივებდნენ შეიღე- ბის გულებს.. მიდიოდნენ ქალები უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში, უცხო ენას და უცხო კერძების მომზადებას სწავლობდნ- ენ, უცხო ქუჩების დადიოდნენ, უცხო გარემოს თითავისებდნენ, საკუთარს იუ- ცხოვებდნენ, თვითონაც უცხოები ხდი- ბოდნენ, საკუთარ რჯახებში, შინაური უცხოები ხდებოდნენ- ნაცულისხმები რჯახის წევრები. იცით, რაზე ლცნებობ- და ემიგრანტის შვილი?! ის ლცნებობდა, სკოლის კრეაზზე დედა მისულიყო ბებიას ნაცვლად, დედას გალენიძებინა დილით,

მაგრამ დედა **Skype**-ში იყო. სამაგივეროდ  
მას ცველა მატერიალური სურვილი უს-  
რესადებოდა. არც ჩასაცმელი აკლდა  
არც შინდა, არც სციონდა, ექსკურსია  
ზე წასავლელ ფულსაც პირველი დებ-  
და, მოპირულიც ჰქონდა, კომპიუტერიც ბაკურიანიშიც დადიოდა, ზღაპაზეც, დედაც ც-  
ცოცხალი ჰყავდა, ყბრალოდ შორს. მერ-  
რა რომ მას წელიწადში ერთხელ ხედა-  
ვდა ცოცხალად?! დიდი დრო გავიდა  
მთავრობები შეიცვალა, ძველი შენობები  
ბი შერემონტდა, ფასადები გადაიღება  
კეთილდღეობაც ფასადური აღმოჩნდა  
რალაც გაგებით. დაპირებები დაპირებები  
ბად დარჩა, დიდ ცვლილებს დიდი დრო  
სჭირდება. ისტორიისთვის ათა-თასუთმე  
ტი წელი არაფერია, ადამიანებისთვის, კი  
დრო სხვანაირად ითვლის. დედების ასაკი  
დაეტყო კერანებს მიღმა. ბერიები გახდე-  
ნენ, ბევრი ისევ შორს დარჩა - უცხოები  
ში. ემიგრანტის შვილებიც გაიზარდნენ  
სურვილებიც გაეზარდათ და შეეცვა-  
ლათ. სკოლის კრებები უკან ჩამოიტო-  
ვეს, მაგრამ დედის სიმორეს მიერვევნენ  
უფრო შეტიც, შევებულების დროს ჩამო-  
სულ მშობელთან უხერხეულობა იგრძ-  
ნეს. ჩვენ „კუკარაჩა“ გვინახავს, მაგრან  
თქვენ გინახავთ ფილმი, სადაც დედის  
დაკრძალვას **Skype**-ით ესწრება ადამია-  
ნი?! ან შვილიშვილს **Skype**-ით უყვე-  
ბიან ზღაპარი?! გინახავთ გახსნილი  
ოჯახები, კაცი და ქალი ჩამერალი ვნე-  
ბებით, გასული ახალგაზრდობა?! დარ-  
ჩნილხართ ხუთი ნლის უნახავ ქმართა  
საძინებელში? ყოფილხართ ცოლი, რო-  
მელიც ვერ ჩამოიტოვა ქმრის დაკრძალ-  
ვაზე?! გამენიათ განელილი პანაშვიდე-

ლი ხართ! ემიგრანტობა მანკიერი გზაა  
გადასარჩენად! მანკიერი და სევდიანი! ერთი დიდი სევდიანი ისტორიაა ადამია-  
ნების, რომლებსაც ემიგრატები ჰქვიათ! მათ ოჯახები გადაარჩენეს შიძმიოს,  
სიცივეს, მაგრამ მათი ტანჯვა უსასრუ-  
ლოა, ზოგ შემთხვევებში, მათ შეიღები  
გააფუჭეს, ბანკომატებად იქცევის. ემი-  
გრანტებს თავიანთი კაცები და ქალები  
გაუცხოვდნენ, მათ მშობლებს თვალები  
გაუცროვმლიანეს. ბებიაც ასაკშია უკვე,  
ზოგჯერ ისეთ სისულეელეს იტყვის, რომ  
მისი ასაკი მავიწყდება, მავიწყდება რომ  
მოხუცია და მოხუცებს ისე მკაცრად ვერ  
მოსთხოვ პასუხს, როგორც პავშვებს.  
არადა, იცით, რა საშინელებაა როცა არ-  
განულად ყველაზე ახლო ადამიანს- დე-  
დას ვერ სცნობ? უყურებ, ფიზიკურად  
იგივეა თითქოს, მაგრამ ძრეს წინ უცხო  
ადამიანია. ჩვენ რთმანეთს არ ვიცნო-  
ბთ, უბრალოდ ვიცით! ემიგრანტობაზე,  
აუტანელი, მანეური, სევდიანი გზა მე  
არ ვიცი! რაც გინდათ ის დაარქვით, რა-  
ლაც მომენტში, თქვენი აზრი სულერთია,  
თქვენი- ვისაც მხოლოდ ლაპარაკი და  
შორიდან შეფასება შეგიძლიათ! გვითხა-  
რით რა შეიცვლა, რომ ისევ არ წავიდეს  
უცხო გევყანაში დედა და არ დატოვოს  
ორი წლის შეიღილი?! ვინ დაუბრუნებს მათ  
უერთმანეთოდ გატარებულ წლებს? ან  
ჩვენ ვინ დაგვიძირების? ემიგრანტე-  
ბი არც წმინდანები არიან, არც გმირე-  
ბი, ისინი ტანჯვა გავლილი ადამიანები  
არიან. როგორ ვერ ვიტან პათეტიკას  
ნეტა იცოდეთ. ვეკი, ძალიან სევდიანად  
გამომიყიდა, მაგრამ ყველა სიტყვა, ყველა  
მაგალითი რაც მოგიყანები მართალია



2017 წლის დეკემბრიდან ხორნაბუ-  
ჯის საჯარო სკოლას ახალი დირექტო-  
რი ჰყავს. მამუკა ყავრელიშვილი ჩვენი  
თაობის წარმომადგენელია და მინდა  
ვთქვა, რომ იგი სკოლიდანვე გამოირ-  
ჩეოდა საუკეთესო სწავლა-აღზრდით,  
თანატოლებისა და პედაგოგებისადმი  
პატივისცემით, ხოლო თუ მის კლა-  
სელებს და ახლო მეგობრებსაც დავე-  
სესხებით, არის ძალიან განათლებული,  
ინტელექტუალი ახალგაზრდა, ზუსტად  
ისეთი, როგორიც თანამედროვე სტან-  
დარტების მქონე საჯარო სკოლის დი-  
რექტორი უნდა იყოს.

სანამ საზოგადოება მის წარმატებულ საქმიანობას მისი სკოლის მომავალი შედეგებით შევიტყობრ, მანამდე გავეცნოთ მის ბიოგრაფიას და დასხულ სამომავლო გეგმებს.

-რა მდგომარეობა დაგხვდათ და რო-

გორ წარმოგიდგენიათ სკოლის  
მომავალი, როგორ აპირებთ  
მიალწიოთ სასურველ შედეგს?

დელებს, სკოლიდან გადავყანის წესს  
ითანხმებს პედაგოგიური საბჭოს მიერ  
შემუშავებული სასკოლო სასწავლო  
გეგმებისა და ეროვნული სასწავლო  
გეგმების და შეფასების ცენტრის  
მიერ რეკომენდდებული, გრიფიტინიშვე  
ბული სახელმძღვანელოებიდან პედა  
გოგმების მიერ შერჩეული, სასწავლო  
წლის განმავლობაში გამოსაყენებელი  
სახელმძღვანელოების წუსხას; აკონ  
ტროლებს სკოლის დირექციის მიერ  
ფინანსების ხარჯვასა და ქონების  
განკარგვას; უფლებამოსილია, შრომის  
თა ხელშეკრულებისა და საქართველოს  
კანონმდებლობით გათვალისწინებული  
მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში,  
ხელშეკრულება შეუწყვიტოს  
სკოლის დირექტორს; განიხილავს სამ  
ჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს  
უფლებამისილია, ეროვნული სასწავლო  
გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის  
დამამთავრებელი გამოცდების ჩატარ  
რების მიზნით, მიმართოს ეროვნული  
გამოცდების ცენტრს და დადო  
შესაბამისი ხელშეკრულება; უფლე  
ბამოსილია, მოთხოვოს სკოლის დი  
რექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომ  
მითი ხელშეკრულება მასწავლებელი  
ხელშეკრულების პირობების დარღვე  
ვის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის  
შეუფერებელი ქმედების ჩადენისას  
კანონმდებლობით გათვალისწინებულ  
შემთხვევაში; ინახავს და აღრიცხავს  
სამეურვეო საბჭოში მშობელთა და პე  
დაგოგიური საბჭოს წარმომადგენელ  
თა არჩევნების ბიულეტენებს და ოქმე  
ბს; ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს  
ქმნის სააპელაციო კომიტეტს; განიხი  
ლავს დისციპლინური კომიტეტის გა  
დაწყვეტილებების შესახებ საჩივრებს  
მათ შორის, საჩივრებს, რომლებიც  
ეხება სკოლის დირექტორის მიერ დისც  
ციპლინურ გადაცდომაზე მიღებულ  
გადაწყვეტილებებს. ითანხმებს სკოლის  
დირექტორის მიერ წარმომადგენილ  
წესდების პროექტს. გადაწყვეტილებებ  
ს სამეურვეო საბჭო იღებს სიითი შე  
მადგენლობის უმრავლესობით, ხოლო  
ზოგიერთ შემთხვევაში, სიითი შემად  
გენლობის ორი მესამედით.

- დღეს ხშირად ისმის საუბარი სკოლისა და საზოგადოების ერთმანეთთან გაუცხოვებაზე, ხედავთ თუ არა ამ პრობლემას თქვენთან და თუ ხედავთ, სად არის გამოსავალი?

- ნებისმიერი ურთიერთობა სკოლაში, როგორც მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს და ადმინისტრაციას შორის, დაფუძნებულია და რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. ყველა განვითრებულ ევროპულ და არა მარტო ევროპულ სახელმწიფოში, განათლებას უდიდესი ყურადღება ექცევა და მასწავლებლის შრომა დაფასებულია. სამწუხაოდ, ჩვენთან ენთუზიაზმით ვმუშაობთ მხოლოდ, სოფლის სკოლას ყურადღებას არ აქცევენ, შედეგიც სახეზეა... გაუცხოება იმიტომ ხდება, რომ დღეს ნანილი მშობლებისა ემიგრაციაშა, ნანილი კი ნაკლებად არის დაინტერესებული შვილის აღზრდით და მთ უშეტეს, სკოლასთან ურთიერთობით, მხოლოდ სკოლა მარტო ვერ გაუმკლავდება მოსწავლის აღზრდა-განათლებაზე ზრუნვას, მოსწავლე სკოლაში ატარებს დაახლოებით 6 საათს, სად არის დანარჩენ დროს მოსწავლე? უშეტესად არავინ იცის და გაუცხოებაც მაგიტომ ხდება, რადგან არ არის მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა.

**მაღლობა, გამუკა, საინტერესო საუბრისთვის, იმედი გვაქვს, ქვეყნის მასშტაბით განათლების სისტემაში დღეს არსებული ყველა პრობლემა ახლო მომავალში გამოსხორდება და ჩვენ მივიღებთ ისეთ ნარმატებულ თაობებს, რომლებიც ასახელებენ სამშობლოს არამარტო საერთაშორისო სიკრცეში, არამედ ააყვავებენ და ერთგულად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას.**

ელექტრონული სამართლი

„ლექსი ყვალაფერს, ყვალა დარღს პურნავს“

გოგონამ, რომელზეც ჩემს  
სტატიაში უნდა მოგიყვეთ, თა-  
ვისი ჩანახატები და ლექსები  
„შირაქის“ რედაქციაში გამოგ-  
ვიგზავნა. მას სურვილი ჰქონ-  
და, რომ ამ ჩანახატებს გავც-  
ნობოდით, უფრო მეტიც, მის  
ჩანაწერებს დღის სინათლე  
ენახათ. ვერ ვიტყვით, რომ  
მარიამ პაპუაშვილის მხატვრუ-  
ლი შემოქმედების ნიმუშები შე-  
დევრებია, მაგრამ მერვე კლა-  
სის მოსხავლეს რომ სურვილი  
გაუჩნდა და შემოქმედებითი  
კუთხით სცადა კალმის ხელში  
აღება, ნამდგილად დასავასუ-  
ბელია. ისღა დამრჩენია, მა-  
რიამს ნარმატება, შემოქმედე-  
ბითი ფანტაზიის კიდევ უფრო  
გამრავალფეროვნება, ნინსვლა  
და საკუთარ თავთან მეტი მუ-  
შაობა კუსურვო.

ମାର୍କିନାଟ ତାପ୍ତୁଶ୍ଵରିଲୀ ସମ୍ବନ୍ଧୀୟ  
ନେହାନ୍ତିରେ ଦ୍ୱାରାଦା ଏବଂ ଗାନ୍ଧାର-  
ଦ୍ୱାରା, ଯି ଅମ୍ବାମାର୍ଦ୍ଦ ମେରୁଙ୍ଗ କ୍ଳାଶିକ୍  
ମିଳନ୍ତିରୁଲୁଗୁ, ନିର୍ବାଲନ୍ତିରୁଲୀ ସମ୍ବନ୍ଧୀୟ  
ନେହାନ୍ତିରେ ସାଜାରାର୍ମ କ୍ଷେତ୍ରାଶି. ମିଳି  
କିରୁଙ୍ଗିଲୀ କୈଫାଗରୁଣ୍ୟ ନାତ୍ରେଲ୍ଡା  
କେନ୍ଦରଶ୍ଵରିଲୀ ଗାବ୍ଲୋଙ୍ଗତ. ମାର୍କିନାମୁଁ  
ତାନ୍ତରିକରୁଥାଏ ଉପବାର୍ସ ପ୍ରେରଣା ସାଗର-  
ନୀ, ଗନ୍ଧାର୍ମାତରିକ୍ରେବିତ ନିନ୍ଦନ୍ତିରୁଲୀ  
କୁରୁକ୍ଷେତ୍ରରେ ଦେଖିଲୁଗୁବୁନ୍ତିର. ମରମା-  
ଦ୍ଵାରା ତରନ୍ତିରୁଲୀ ବ୍ୟାପିକ ନିନ୍ଦନ୍ତିରୁଲୀ

ნისა არჩევას გეგმავს. ცოტა  
მორცხვი და გაუბედავია,  
რაც ხშირად უშლის ხელს  
თავისი შესაძლებლობების  
გამოვლენაში. მარიამი ყო-  
ველ წელს დედას აპედინე-  
რებს 10 ქულიანი სიგრლით.  
მეშვიდე კლასს პირველი  
სემესტრიც უმაღლესი შე-  
ფასებით დასრულა. პირ-  
ველი ლექსი ერთი წლის  
წილი დაწერა. თავისუფალ  
თემებსაც წერს. უნდა, რომ  
წარმატებული მასნავლებე-  
ლი გახდეს. სურს იხილოს  
ერთიანი,ძლიერი საქართვე-  
ლო და მის შენებას ხედავს  
განათლებული მომავლის  
აღზრდაში. მისი საყვარელი  
მანავლებელია მზია ლეკაშ-  
ვილი.

კალი მეხრიშვილი

ოთვლია-განმეორები

ყუელას, და მათ შორის მ  
მიყვარს, ტყე რომ თეთრი,  
თქათა ფანტელებით შეიმოსა  
და საქორწილო კაბას ჩაიცვა  
ამაზე ლამაზს, რას ნახ.



კაცი!... მაგრამ გული მწყდება, რომ მისი სილამაზე მალე იშლება და ფეხქვეშ ითელება. შეურაცხყოფილი ხდება თოვლი, როცა მასზე დააბიჯებენ და გზის გაკვალვას (ცდილობენ ადამიანები, ცხოველები... უმნიკო, თეთრი თოვლი ამ დროს სიმწრით კვნესის, მაგრამ

არავის ესმის მისი ხმა... მზე,  
რომელიც ყველას გვიყვარს,  
მისი პირველი მტერია... სა-  
ცოდავი და დასანარია, თო-  
ვლის ფანტელებით დაფიქ-  
ქულ სამყაროს არ შეუძლია  
დიდხანს სიცოცხლე. ყველა-  
ზე მეტად კი გული მწყდება,  
რომ თოვლის ფანტელებს არ  
შეუძლიათ საუბარი და ვერ  
ამბობენ თავის სათქმელს,  
არ შეუძლიათ, საწუხარი  
გაანდონ სხვას, იმეგობრონ  
ვინმესთან, მათაც ითამაშონ  
და იხარონ.

მე ბეკრჯერ მიცდია ფიფუ-  
ქებთან საუბარი, მინდოდა  
მეთქა, რომ მე ვიქწები შენი  
მეგობარი, მე გამანდე შენი  
საწუხარი, ერთმანეთს ხელი  
ჩავკიდოთ და ერთად ვითა-  
მაშოთ, ვიხაროთ-მეოქი. რა  
საკვირველია, მას ეს ძალიან  
უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო,  
ვერ ჩამკიდა ხელი და ვერ  
ამომყევა, ვერ მითხრა თავისი  
ბწუხარი, მე ყველაფერს მივხვი-  
ო. მას შიში ჰქონდა, რომ მალე  
ხე გამოვიდოდა, დახედავდა,  
ადნებოდა და აღარავის გა-  
სხვნდებოდა მისი სპეტაკი და  
ამაზი ფრთები.

ლექსია ჩემი გულისტკივლი

ლექსია ჩემი გულისტკივილი  
და ლექსი შეეღლის ტკივილებს ჩემსას  
მხოლოდ ლექსია წამალი ჩემი,  
ლექსი ევენაურს, ევენა დარძის  
კურნავს.  
როცა სტრიქონებს ვანდობ ჩემს ფი-  
ქრებს,  
და საიდუმლოს გუმზელ თეთრ ფურ-  
ცელს,

# რაიონის წარმატებული აღამიანი



გა-  
ს უ ლ ი  
წ ე ლ ი  
ს ა კ -  
მ ა მ დ  
ნარმა-  
ტებუ-  
ლი იყო  
ნიკო  
ნიკლა-  
ურის-  
თვის,  
რომე-  
ლი ც  
ათეუ-  
ლი წე-  
ლი ა ,  
მომა-  
ვალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურე-  
ბა ზემო ქედის საჯარო სკოლაში.

2017 წელს ნიკო წიკლაურს დედო-  
ფლისნერაოს მუნიციპალიტეტის ხელმძღ-  
ვანელობამ ნარმატებული დედოფლისნე-  
რაოს წიკლაურის მინიჭით. ასევე წელს,  
სამოქალაქო განათლების რესპუბლიკურ  
ოლიმპიადიში მისი მოსწავლის ნარმატე-  
ბული შედეგისთვის, მადლობის სიგელი  
და ფულადი ჯილდო მასაც ხდა წილად.  
გთავაზობთ ინტერვიუს ღვანლომისილ  
მასწავლებელთან:

— ნიკო მასწავლებელო, გასულ წელს  
თქვენ მოგანიჭეთ ნარმატებული დედო-  
ფლისნერაოს წიკლაური მომავალი თაო-  
ბის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანი-  
ლი განსაკუთრებული წვლილისათვის...

— დიახ, აგერ უკვე ნაშევარი საუკუ-  
ნეა, რაც ვემსახურები მომავალი თაობის  
აღზრდა-განათლების კეთილმობილურ  
საქმეს. დიდ მადლობას ვუხდი მუნიციპა-  
ლიტეტის მერს ნაკლობზე ჯანიაშვილს და  
ზემო ქედის მის ნარმომდებნებს ბეჭედ  
სულაშვილს ჩემი შრომის მაღლი შეფასე-  
ბისათვის....

— 2017 წელს კიდევ რა ჯილდო მიიღო?  
— ამ წელს ჩატარდა სამოქალაქო გა-  
ნათლების რესპუბლიკური ოლიმპიადა. ჩემმა მოსწავლემ, XII კლასელმა დიახა  
ბუქურმა ამ ოლიმპიადაში გაიმარჯვა.  
დიახა დააჯილდოვეს კომპიუტერით, მე  
გადმომცეს მადლობის სიგელი სამოქალა-  
ქო განათლების წიკლაურის პროცესში შე-

ტანილი წვლილისათვის, დამაჯილდოვეს  
ნიგენბითა და 100 ლარით.

**-ბატონონ ნიკო, „ბაში-აჩუკი“ რატომ შე-  
გარქვეს?**

მეთეთე კლასში ვიყავი, როცა თეატრა-  
ლურმა ხელოვნებამ გამიტაცა. ვახდენდი  
პოემების, მოთხოვობების ინსცენირებას  
და სცენაზე ვდგამდი. დავდგი „ჟავო ყა-  
ჩალი“, „ლუარსაბ თაქარიი“, „ბასიანის  
ომი“, მ. გორგის „თმულება დედაზე“...  
გადაწევიტება, სცენაზე დამედება აკაკი  
წერეთის „ბაში-აჩუკი“-და ერთი მო-  
ნაკეთი, გაუზანილებრივი როლები ჩემს თა-  
ნაკლასელებს და ბაში-აჩუკის როლი მე  
ვირგუნი, მაგრამ აქ პრობლემა შემექა-  
ნა - ბაში-აჩუკის ხუჭუჭი თმა აქვს, მე კი  
ფიჩხვით თმა მქონდა, მაგრამ გამოსავა-  
ლი გამოვნახე: წავედი სამხედრო „გრი-  
დოქში“, იქ ერთ რუს „ბაშუშას“ ვთხოვე  
ჩემთვის გაეკეთებინა ექსტრიანი „ზავო-  
ვა“, ასე გახდი თმაზუჭუჭა ბიჭი. როცა  
სცენაზე აბდუშაპილი ბეჭებით იატაქს  
გავაკარი, მაყურებელმა ტაში დამიკრა  
და შემარქვეს „ბაში-აჩუკი“. ალბათ, ამის  
ბრალი იყო, რომ ნაადრევად გავმელო-  
ტიდი... რას იზამ, ხელოვნება მსხვერპლს  
მოითხოვს....

**შემდეგ?**

შემდეგ დავამთავრე თეატრალური  
სასწავლებელი, ცოტა ხანს კოტე მარჯა-  
ნიშვილის სახელობის თეატრში ვიმუშავე  
მსახიობად, რეჟისორი მაძლევდა მეო-  
რეხარისხოვან როლებს, დაკავებული ვი-  
ყავი მასობრივ სცენებში. აქ მიგხვდი, რომ  
ჩემგან დიდი არტისტი არ გამოიდოდა და  
გამოცდება ჩავაბარე თბილისის ივანე ჯა-  
ვახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. ჩავირიცხე ისტორიის ფაკულტეტზე. შემდეგ რა დიპლომის  
მფლობელი განათლების მინისტრმა მომა-  
ვლინა ზემო ქედის N1 საშუალო სკოლაში  
ისტორიობის მასწავლებლადან....

— სასწავლო წლის დაბეჭიმდე ჯერ დრო  
იყო დარჩენილი. რაონის განათლების  
განყოფილების გამგებ გიგო ლომაშეილმა  
რეკომენდაცია გამინია გაზეთ „ახალი ში-  
რაქების“ რედაქტორთან გოდერძი ტოკლო-  
კიშეილთან. გოდერძი კარგად მიმდინარეობის მიზნით დამავალა გაზიეთისთვის წერილის დაწერა. მოსავლის აღების  
დრო იყო, დავწერე სტატია „რეპორტაჟი“

კალოდან“. გოდერძის ძალიან მოეწონა და  
მითხოვა, ხელფასს დაგნიშნავ, გაზეთის  
ერთ-ერთ განყოფილებას ჩაგაბარებს, მხო-  
ლოდ რაიონში უნდა გადმოხვიდე, რათა  
გაზეთის ბეჭების უზრადლებელი მიაქციონი.  
ამასობაში სეტემბერშიც მოვიდა. მე არ-  
ჩევანი სკოლაზე გავაკეთე, გოდერძის კი  
მადლობა გადავუხსადე ნდობისათვის.

ასე აღმოჩენიდი ჩემი ყოფილი  
მასწავლებლების გვერდით სრულფლე-  
ბინი პედაგოგის მუშაობის რომ წლის  
შემდეგ დამინიშნეს დირექტორის მამად-  
გილებ - კლასგარებები და სკოლისგარებების  
შემაბიძის ორგანიზატორიად. პირველი,  
რაც გავაკეთე, იყო ის, რომ შემოვარე  
კოლეგუნების ფერმები და სწავლის  
ჩამოვარება: წავეგანიზატორის გადა-  
ვინირება საერთოდ აღარ გავაქს... კი,  
გვაქვს უფასო სახელმძღვანელოები და  
უფასო საბავშვო ბაგა-ბალები, მაგრამ ეს  
საქართვის არაა... არასდოროს არ ყოფი-  
ლა მასწავლებელი ასე დამცირებული და  
უფლებაპირილი, როგორც დღეს არის.  
არადა, მხოლოდ მასწავლებელ შეუძლია  
ქვეყნის გადარჩენა-აყვავება, რადგან  
მის ხელშია მიმღვალი თაობის აღზრდა-  
განათლება. განათლების განვითარების  
აუგვისის საბავშვოების სახის სამართლების  
შემდეგის შემთხვევაშის საბავშვოების  
შემთხვევაში?

— ერთი წელი ვიყავი მუშა-ახალგაზრ-  
დობის საღამოს საშუალო სკოლის დირე-  
ქტორი. აღნიშნული სკოლის გაუქმიშნის  
შემდეგ ისევ ირგანიზატორად ვმუშაობ-  
დი. განათლების მინისტრის ბრძანებით  
1977 წელს გავხდი ზემო ქედის N1 საშუა-  
ლო სკოლის დირექტორი. სკოლას ვუხელ-  
მდღანელე 17 წელი. ეს იყო საუკეთესო  
წლები ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობაში  
იმიტომ, რომ მომიხდა მუშაობა გამოც-  
დილ, მცოდნე, ერთ მუტად შეკრულ  
პედაგოგიურ კოლექტივთან, თითოეული  
მასწავლებელი თავისი საგნის სწავლე-  
ბის პროფესიონალი იყო, ორიენტირებუ-  
ლი მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთა  
სწავლა-აღზრდაში.

აქციურად ვმორანილები ეროვნულ  
მოძრაობაში, ვიყავი სახალხო ფრონტის  
რეგიონისა რეგიონის მინისტრის გაზეთ  
„საბავშვის“ რედაქტორი.

მოვაწყე ექსკურსიები საბჭოთა კაში-  
რის ყველა გმირ ქალაქში. როცა ჩემი  
სოფილის მოცემავეთა ანსამბლმა რეს-  
პულიკურ ლომბიადაზე გაიმარჯვა,  
ჯილდოდ მიიღო ათდღიანი მოგზაურო-  
ბა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. როგორც ამ საქმეში გამოცდილს, კომკა-  
ვშირის რაიონშია მე მომანდო მისი ხელ-  
მდღანელობა, რასაც ნარმატებით გა-  
ვართვი თავი.

ხშირად გაიგონებთ, რომ კომუნისტე-  
ბის სკოლა პოლიტიზირებული იყო. კი,  
ბატონონ, იყო, მაგრამ ჩამოგვეცილებინა  
სკოლებისთვის პოლიტიკურ შევეცარებუ-  
ნებინა ის, რაც კარგი იყო. მაგრამ ჩევენ ეს  
ვერ შევძელით. ის, რაც კარგი იყო, ნარ-  
სულში დარჩის.

**დღევანდელი განათლების მდგომარეო-  
ბას როგორ შეასრულდით?**

ილია ჭავჭავაძე წერს: „დაუნდობ-  
ლობა, შური, მტრობა, უსამართლობა,  
ძარცვა-გლეჯა, ჩეუბი, ცემა-ხოცვა, ეკო-  
ნომიკის გაუწყობლობა - ნაყოფია უმე-  
ცრებისა“. ჩევენს ქვეყანას დღეს სწორედ  
ეს სტირის, განათლება განადგურებულია,  
მეცნიერება საერთოდ აღარ გავაქს... კი,  
გვაქვს უფასო სახელმძღვანელოები და  
უფასო საბავშვო ბაგა-ბალები, მაგრამ ეს  
საქართვის არაა... არასდოროს არ ყოფი-  
ლა მასწავლებელი ასე დამცირებული და  
უფლებაპირილი, როგორც დღეს არის.  
არადა, მხოლოდ მასწავლებელ შეუძლია  
ქვეყნის გადარჩენა-აყვავება, რადგან  
მის ხელშია მიმღვალი თაობის აღზრდა-  
განათლება. განათლების განვითარების  
აუგვისის საბავშვოების შემთხვევაშის საბავშვოების  
შემთხვევაში?

**თქვენ მოღვაწეობის პერიოდში მომ-  
დარ კურიტულ შემთხვევას ხომ არ გაი-  
სწორდით?**

კი, იყო ასეთი შემთხვევა: ტელეფონზე  
რეკას განათლების განყოფილებს გამგე  
ნინო ბოსტოლანაშელი (ადრე ჩევნი სკო-  
ლის დირექტორი იყო). ნიკო წიკლაურს  
უხმეთ ტელეფონთან. მე მივარდი ტე-  
ლეფონს, (სამსწავლებლობში ტელეფონი  
არ იდგა). რომელი ხარო, ნინო მეტიხება,  
თურმე ისე შემწინდა ნინოს, რომ გვარი  
და სახელი ამერიკა: წიკლ წიკლაური  
უხმეთ ტელეფონთან. მე მივარდი ტე-  
ლეფონს, გამარტინი საბავშვო ბარი შემწინდა  
და ვუკასახები, ნიკო წიკლაური ვარ-მეტები. ეს ჩემმა მეცნიერებუ-  
ლი მომიგონების, ან, შეიძლება, მართლა-  
ცა გვარი მის ასეთი შემწინდა და ვუკასა-  
ხების შემწინდა და ვუკასახები, ნიკო  
წიკლაური ვარ-მეტები. ეს ჩემმა მეცნიერე-  
ბული მომიგონების, ან, შეიძლება, მართლა-  
ცა გვარი მის ასეთი შემწინდა და ვუკასა-  
ხების შემწინდა და ვუკასახები, ნიკო  
წიკლაური ვარ-მეტე

# რა პრობლემებს იწვევს ბრტყელტერფიანობა და რა ასაკში ვლინდება იგი?

ბრტყელტერფიანობა, ტერფის ნორმალური ანატომიის დარღვევა, უმცესად გენეტიკური ფაქტორით არის განპირობებული. ერთი შეხედვით ვიზუალური ხარვეზი, ასაკის მატებასთან ერთად ადამიანის უფრო და უფრო მეტ პრობლემას უქმნის. ბრტყელტერფიანობას ახასიათებს: ტერფის დაგრძელება, ტერფის გასწვრივი და განივი თაღების გაბრტყელება, ტერფის წინა ნაწილის შიგნით შებრუნება, ქუსლის გარეთ მიბრუნება, ადვილად დაღლა, ტკივილი ტერფის, კოჭ-წვივის სახსარში დატკირთვის შემდეგ.

ამ დროს ტერფზე დატკირთვა არაფიზიოლოგიურად ნაწილება, ვითარდება დეფორმაცია, ტკივილი, სიარული ცოტა ძნელი ხდება ხოლმე, ბრტყელტერფიანობა შეიძლება თავისთავადი, დამოუკიდებელი დაავადებაც იყოს და ტორსის და ქვემო კოდურების დეფორმაციის გამოც განვითარდება. არსებობს ტრავმის შედეგად განვითარებული ბრტყელტერფიანობაც. დარღვევა შესაძლოა ნერვული მასისტემის დაზიანებამაც გამოიწვიოს, მაგალითად, ქვედა კიდურების რბილმა ან სპასტიკულრმა პარეზმა. თუ ბავშვება, მენჯ-ბარძაყის სასარის

სა და ფოსფორის ცვლა, შესაძლოა რაქიტული ბრტყელტერფიანობა ჩამოყალიბდეს.

„ბრტყელტერფიანობის გამოვლენა იწყება 1 წლის ასაკიდან, თუმცა მისა დიაგნოსტიკურება ხდება 4 წლის ასაკში.

**4 წლამდე ბავშვის ზრდის**

პროცესი ისე ვითარდება,

რომ ის რაც 1 ან 2 წლის

ასაკში ბრტყელტერფიანობის ნიშნებად ითვლება.

**ბოდა, 4 წლის ასაკში**

შესაძლოა, საერთოდ

გაქრეს. ამ ნიშნების

აღმოჩენისთანავე აუ-

ცილებელია, რომ სპე-

ციალისტის მიმართოთ.

მისი მეთვალყურებით

დაინიშნება სამკურნალო

მასაჟები ტერფებსა და

წვივებზე. შედეგად კი,

შესაძლებელია ხდისბარი

გამოსწორდეს. წინააღმ-

დეგ შემთხვევაში 4 წლის

ასაკში არსებული კრი-

ტერფუმების შესაბამისად

ხდება ბრტყელტერფია-

ნობის დაიგნოსტირება.

**ზრდასა და წონის მატებას-თან ერთად პრობლემა უფრო მნვავდება, დეფორმაცია მასისტემის დაზიანებამაც გამოიწვიოს, მაგალითად, ქვედა კიდურების რბილმა ან სპასტიკულრმა პარეზმა. თუ ბავშვება, მენჯ-ბარძაყის სასარის**

დისპლაზია და ამოვარდნილობა”, - განმარტავს ორთოპედ-ტრავმატოლოგი სერგო ბალრაძე.

ზრდის დასრულების შემდეგ ძვლის ჩამოყალიბებული ფორმის, ბრტყელტერფიანობის შეცვლა უკვე შეუძლე-

ბილობების, საშუალებების, რომლებიც ფეხსაცმლის ზენოლისგან იცავენ ტერფს. თუმცა მუდმივად სუბინატორიანი ფეხსაცმლის ტარებაც არ შეიძლება. ასევე, აუცილებელია პერიოდული კონტროლი სპე-

ცერიოდული კონტროლი სპე-

უფრო დიდი ხანი მუშობს სახსრები არასწორად, მით უფრო მეტ ტკივილს იწვევს. მძიმე და გამწვავებული ფორმის ბრტყელტერფიანობის შემთხვევაში ოპერაციაც ინიშნება”, - აღნიშნავს ორთოპედ-ტრავმატოლოგი.

თუ თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ ბრტყელტერფიანი ხართ, ამის შესამონებლად არსებობს მარტივი ტესტი - ე.წ. ქალალდის „სარკე”. უნდა აიღოთ სუჟთა ფურცელი და დადოთ იატაკზე, ფეხისგულებზე წაისვათ ცხილოვანი კრემი და ამ ფურცელზე დადგეთ. ტანი სწორად უნდა გეჭიროთ, ფეხები შეტყუპებული გქონდეთ, რომ სხეულის სიმძიმე თანაბრად გადანანილდეს ორვე ფურცელზე თქვენი ფეხების ანაბეჭდი დარჩება. ფანქრით სწორი ხაზით შეაერთოთ ტერფის ანაბეჭდის შიგნითა მხარეს ყველაზე გამოწვეული წერტილები. შემდეგ ამ ხაზების პერპენდიკულარულად გაავლეთ სწორი ხაზი, რომელიც გადაკვეთს ანაბეჭდის ყველაზე ღრმა ადგილს.

თუ ანაბეჭდის ვიწრო წერტილებულად გატარებული ხაზის მხოლოდ მესამედს შეადგენს, ე.ი. ნორმალური ტერფი გაქვთ, თუ ტოლია, ბრტყელტერფიანი

ყოფილხართ.



ბელია. თუ ნევროლოგიური დარღვევა არ ფიქსირდება, მეურნალობა არ არის მე-ადიკამენტოზური. ამ დროს აუცილებელია დამხმარე საშუალებების გამოყენება, ე.წ. სამდებარებელის საკორექციო სხვა მოწყო-

ციალისტთან იმის დასადასტურებლად, რომ მეურნალობა ადეკვატურია და შედეგი დამაკავყითებელი.

“ნესების დაცვის მიუხედავად, პრობლემა მაინც მწვავს სუპინატორის, დეფორმაციის საკორექციო სხვა მოწყობის მატებასთან ერთად. რაც




## ლი გომალაშრი

ორი წელი თვალსა და ხელს შუა გაილია, ჩვენო საყვარელო ლია, რაც ჩევენგან წავედრი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და მონატრება. ხშირად გიხსენებთ შენი რედაქციელები, ვახსენებთ შენს გამოწვეულ და ხალას იუმირის. რამდენი თბილი და ტკბილი დადეგაგვიტარებია, რამდენი გვილხენია და გვიდარდინია ერთად. ჯერ კიდევ თვალი შინ კაბინეტისეკენ გაგვიძინების, ასე გამოწინდები, მაბაინად მოგვესალმები და მოგვიკითხავ. შენ ხომ სიკეთითა და ცოდნამადლოით საქაე ადამიანი იყავ, ყველა გაჭირვებულის დამხმარე და დამრიგებელი. შენი პროფესიონან გამომდინარე, უანგაროდ აძლევდა რჩევა-დარიგებას ადამიანებს.

ჩვენ, რედაქციის თანამშრომლებს, ყოველთვის გვემასოვრები, როგორც კარგი „მეზობელი“ და ადამიანი.

ნათელში იყავ, ჩვენ ლია!


შენ „პირაძელები“.



## გი ვალე ვალე

მამა, ერთი წელი გავიდა, რაც ჩენს გვერდით ალარ ხარ, ხშირად გიხსენებთ, ძალიან განვიცდით უშენებას, შენ ხომ საუკეთესო მამა და პაპა იყავი, მარტედავაგა ასაკისა, მაინც არ ვეღლოდით შენს სიკვდილს, ვერაფრინი, რამდენი გვილხენია და გვიდარდინია ერთად. შენ გახარებული და ბედნიერი ნახვდები ამ ქვეყნიდან, გაზარდე სამაცა შველი და შველმები დარჩები. შენითამ მოგვესალმები და მოგვიკითხავ. შენ ხომ სიკეთითა და ცოდნამადლოით საქაე ადამიანი იყავ, ყველა გაჭირვებულის დამხმარე და დამრიგებელი. შენი პროფესიონან გამომდინარე, უანგაროდ აძლევდა რჩევა-დარიგებას ადამიანებს.

შვილები: ნინო, მაია, ირმა სესიტაშვილები.



## გი ვალე ვალე

ჩემი გივი, 1 თებერვალი შენი დაბადების უსაშველო გრძნობას ვერაფრით ვშევილი, ერთადერთი ადგილი შენი სამუდაბო განსასვენებელია, რომელიც ამ გრძნობას ცოტათ შეველის... შენს დაბადების დღეზეც მოვალთ შენს საფლავთან შენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, აგინთებთ წმინდა სანთოლებს და ასე მოგილოცავაში დაბადების დღეს. სანამ ცოცხლიდა ვინცე ამას, არ ვიცა...

20 წელი სრულდება, რაც შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ძალიან გვიშირს უშენობა,

მაგრამ მონატრების უსაშველო გრძნობას ვერაფრით ვშევილი, ერთადერთი ადგილი შენი სახელს დავინება არ უწერია. ლმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს სულებს.

მეუღლე გული იაპონიშვილი

